საქართველოს კონკურენციის სააგენტო

2017 წლის ანგარიში

თბილისი, 2018

სამართლიანი კონკურენტული გარემო - ბიზნესის განვითარებისათვის

საქართველოში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით 2017 წელი მნიშვნელოვანი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის სააგენტოს ფუნქციონირების დაწყებიდან სულ სამი წელია გასული, ამ სამი წლის და განსაკუთრებით 2017 წლის განმავლობაში, წარმატებული ღონისძიებების მეშვეობით მოვახერხეთ, რომ სულ უფრო მეტად იზრდება სააგენტოს ცნობადობა და ნდობა მის მიმართ.

ჩვენი მცირერიცხოვანი, მაგრამ მაღალპროფესიონალური გუნდი ყოველდღიურად მუშაობს, რათა მიღწეული იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა - ქვეყანაში შეიქმნას წარმატებული ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, თავისუფალი, სამართლიანი და ჯანსაღი ბიზნეს გარემო, სადაც წარმატების მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ შრომით და სამართლიანი კონკურენციით.

გასული წლის განმავლობაში ჩვენი საქმიანობა მოიცავდა კონკურენციის პოლიტიკის ყველა მიმართულებას, რასაც წინამდებარე ანგარიშიც ადასტურებს.

2017 წელს გავაგრძელეთ მუშაობა ჩვენი ორგანიზაციული სტრუქტურის და პროცედურების სრულყოფის, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების და სააგენტოს ცნობადობის ზრდის, საერთაშორისო ურთიერთობის გაღრმავების კუთხით.

ჩვენი მომავალი საქმიანობის სრულყოფისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის დახმარება, რომელსაც სააგენტო ევროკავშირისაგან იღებს. პროექტი „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“, რომელიც 2017 წელს დაიწყო, მიზნად ისახავს ჩვენი შესაძლებლობების ზრდას, მათ შორის, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, პროცედურების დახვეწას, სააგენტოს და მისი პარტნიორი ორგანიზაციების კვალიფიკაციის ამაღლებას, კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ზრდას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს პირველად ჩავატარეთ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ფორმირების 25 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონფერენციის ორგანიზებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD), IOS Partners-მა და ა(ა)იპ კონკურენციის ინსტიტუტმა. ღონისძიების მნიშვნელობასა და მასშტაბს ისიც ადასტურებს, რომ მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ავსტრიის, ბელარუსის, ესტონეთის, თურქეთის, ლიტვის, ლატვიის, მოლდოვას, პოლონეთის, რუმინეთის,

სომხეთის, უკრაინისა და ჩეხეთის კონკურენციის ორგანოების, ასევე საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელები. იმედი გვაქვს, რომ ასეთი ტიპის ღონისძიებები ტრადიციად იქცევა.

ცხადია, ძალიან საინტერესო და დაძაბული 2017 წლის განმავლობაში ბევრი სურვილი დარჩა შეუსრულებელი, თუმცა ჩვენი მონდომება, პარტნიორების მხარდაჭერა, ევროკავშირსა და კონკურენციის სფეროში მოღვაწე მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ბიზნესის მხრიდან გაზრდილი ნდობა მომავალი წარმატებების გარანტიაა.



ნოდარ ხადური

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე

შესავალი

კონკურენციის როლსა და მნიშვნელობას განამტკიცებს ქვეყნის უზენაესი კანონი - კონსტიტუცია, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.

ნიშანდობლივია, რომ 2017 წელს საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული რეალიზაციის 25 წელი შესრულდა. 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყანამ პირველი ნორმატიული აქტი მიიღო კონკურენციის სფეროს რეგულირებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, საქართველოს კონკურენციის სააგენტო, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თავისი დაფუძნებიდან ჯერ მხოლოდ 3 წელს ითვლის.

კონკურენციის სააგენტო საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საზოგადოების წინაშეა ანგარიშვალდებული. სააგენტოს ძირითად ამოცანას კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა წარმოადგენს.

ჩვენი მთავარი მიზნები და გზავნილებია:

- *ღია, ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის უზრუნველყოფა;*
- *სააგენტოს ცნობადობის და კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა;*
- *სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, შედეგიანი და ხარისხიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად;*
- *ახალი, განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება;*
- *საზოგადოებისა და ბიზნესის თვალში ნდობის ამაღლება.*

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, სააგენტო 4 სტრუქტურული ქვედანაყოფისგან შედგება:

- ✓ ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტი;
- ✓ ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტი;
- ✓ იურიდიული დეპარტამენტი;
- ✓ ადმინისტრაციული დეპარტამენტი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოში 42 თანამშრომელი იყო დასაქმებული.



ყოველდღიური საქმიანობისა და ქვეყნის შიგნით ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების პარალელურად, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ სათანადო ადგილი დავიმკვიდროთ მსოფლიო ასპარეზზე და გავხდეთ კონკურენციის დიდი საერთაშორისო ოჯახის ღირსეული წევრი. საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართულობა და სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს, ვინაიდან იგი იძლევა ინფორმაციის მოპოვების ეფექტურ საშუალებას და ხელს უწყობს გამოცდილების ორმხრივ გაზიარებას.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 2017 წლის მანძილზე საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ განხორციელებული ძირითადი აქტივობების თაობაზე: მოკვლევისა და მონიტორინგის წარმოების, კონცენტრაციისა და სახელმწიფო დახმარებების შესწავლის, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით გაცემული რეკომენდაციების, სააგენტოში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების, კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, გაფორმებული მემორანდუმების, სააგენტოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების და ბევრი სხვა მიმართულებით.

ჩვენ მადლობას ვუხდით ყველა ადამიანს, უწყებასა თუ დონორ ორგანიზაციას, ვინც სულ მცირედი წვლილი მაინც შეიტანა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ 2017 წლის მანძილზე განხორციელებულ აქტივობებში. იმედი გვაქვს, რომ 2018 წელს კიდევ უფრო მეტი შემართებითა და ენთუზიაზმით გავაგრძელებთ მუშაობას ქვეყანაში კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის გატარებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად.

1. სააგენტოს საქმიანობის ზოგადი მაჩვენებლები

2017 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, სულ აღირიცხა 1107 შემოსული და 1712 გასული წერილი; განხორციელდა 504 შიდა კორესპონდენცია და გამოცემულ იქნა 364 ბრძანება.



ამავე წელს, სააგენტო ახორციელებდა 6 საქონლის/მომსახურების ბაზრის მოკვლევას, რომელთაგან 5 დასრულდა 2017 წელს;

სააგენტომ გასცა 10 რეკომენდაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტების მიმართ, შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით;

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოში მიმდინარეობდა საქონლის/მომსახურების 5 ბაზრის მონიტორინგი;

2017 წლის განმავლობაში, კონკურენციის სააგენტომ განიხილა მოსალოდნელი კონცენტრაციის 2 შეტყობინება და 1 განცხადება სახელმწიფო დახმარების თაობაზე;

სააგენტოში წარმოდგენილი 3 განცხადება/საჩივარი, კანონმდებლობით დადგენილი ფორმის დაუცველობისა და ხარვეზის შეუვსებლობის საფუძვლით, განუხილველად იქნა დატოვებული.

გარდა ამისა, 2017 წელს:

- გაიმართა კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის სათათბირო საბჭოს 23 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 50-ზე მეტი საკითხი;
- კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების, ბიზნეს-სუბიექტების, სამოქალაქო სექტორის მონაწილეობით, ჩატარდა 12 სემინარი/კონფერენცია;
- სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, განხორციელდა 30-მდე ღონისძიება (სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და ა.შ), რასაც მოჰყვა თანამშრომელთა უმრავლესობის გადამზადება;
- კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის თაობაზე შემოსული 2 განცხადება, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გადაეგზავნა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს;
- სააგენტოში მიმდინარეობს 2017 წელს წარმოდგენილი 1 საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხის შესწავლა, მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

2. მოკვლევები

2.1. დასრულებული მოკვლევები

2017 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა 5 საქონლის/მომსახურების ბაზრის მოკვლევა.

ხსენებული 5 მოკვლევიდან, 1 დაწყებულ იქნა სააგენტოს ინიციატივით, ხოლო 4 - სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე.



მოკვლევის 2 საქმე მიმდინარეობდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მხოლოდ მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, 1 – მე-6 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე, 1 საქმე ეხებოდა - მე-7 და 11³ მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტს და 1 საქმე - მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევას.



❖

ფოთის პორტის საქმეზე განხორციელებული მოკვლევა

სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ (შემდეგში - ფოთის პორტი) მიერ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) სავარაუდო დარღვევის თაობაზე მოკვლევა დაწყებულ იქნა ფოთში მოქმედი 14 სატერმინალო კომპანიის ერთობლივი საჩივრის საფუძველზე. მოგვიანებით, მომჩივანთა მოთხოვნა გაიზიარა და სააგენტოს დამატებითი ინფორმაცია წარმოუდგინა ექვსმა საზღვაო ხაზმაც.

საჩივარი შეეხებოდა ფოთის პორტის მიერ გამოცემულ, 2016 წლის პირველი ივლისიდან ასამოქმედებელ ბრძანებას, რომელიც გულისხმობდა ფოთის პორტის მხრიდან საზღვაო ტვირთის (კონტეინერის) გემიდან სატრანსპორტო საშუალებაში გადმოტვირთვის, პორტის კუთვნილ ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე დასაწყობების მომსახურებებზე ერთიანი, ინტეგრირებული ტარიფის დაწესებას.

სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2016 წლის 24 ივნისის დროებითი განჩინებით, მოკვლევის დასრულებამდე შეაჩერა ფოთის პორტის ხსენებული ბრძანების ამოქმედება.

მოკვლევის პროცესში, სააგენტომ გამოითხოვა ყველა საჭირო ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებისა და შესაბამისი ეკონომიკური აგენტებისგან; განხორციელდა ახსნა-განმარტებების მიღება მომჩივანი სატერმინალო კომპანიების, ფოთის პორტის, საზღვაო ხაზებისა და გადამზიდავი სატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენლებისგან; სათანადო კონსულტაციები მიღებული იქნა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან; ასევე, სიტუაციის ადგილზე გაცნობის მიზნით, მოკვლევის ჯგუფის წევრები მივლენილ იქნენ ფოთის პორტსა და სატერმინალო კომპანიებში.

საქმის გარემოებების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, სააგენტომ მიიჩნია, რომ ფოთის პორტის მხრიდან დაგეგმილი „ახალი სქემის“ ამოქმედებით შეიზღუდებოდა ნავსადგურიდან გარე ტერმინალებში კონტეინერების სატრანსპორტო გადაზიდვისა და სატერმინალო მომსახურების ბაზრები, ისეთი ფორმით, რომელიც საზიანო იქნებოდა მომხმარებლის ინტერესებისათვის. სააგენტომ იმსჯელა შეზღუდვის გამართლების საკითხებზეც, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების ასპექტში, თუმცა მიიჩნია, რომ ხსენებული ფორმით კონკურენციის შეზღუდვის ობიექტური გამამართლებელი გარემოებები სახეზე არ იყო.

ამდენად, სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 21 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების შესაბამისად, დადგინდა, რომ დაგეგმილი სახით კონტეინერების გადამუშავების ახალი სქემის ამოქმედება გამოიწვევდა ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ და ,,დ“ ქვეპუნქტების დარღვევას. თუმცა, განხილულ შემთხვევაში, არ დადასტურდა ფოთის პორტის მხრიდან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი, ვინაიდან კონკურენციის საწინააღმდეგოდ მიჩნეული კონტეინერების გადამუშავების ახალი სქემის ამოქმედება არ მომხდარა.

ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების, ასევე, ფოთის პორტის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ფოთის პორტს, საზღვაო ხაზებსა და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას სააგენტომ შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინა.

❖

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ბაზარზე განხორციელებული მოკვლევა

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ბაზრის მოკვლევა, შპს „ვი ქომის“ (შპს „ბ&ბ“), შპს „ნიშის“, შპს „თაიმსერვისის“ და შპს „მაიჯიპიესის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. მოკვლევა ასევე შეეხებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის (სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა) მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტს. მოკვლევას საფუძვლად დაედო სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან გადმოგზავნილი ინფორმაცია და შესაბამისი აუდიტის ანგარიში.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, მოკვლევის პერიოდში, სააგენტომ გამოითხოვა ყველა საჭირო ინფორმაცია, როგორც ეკონომიკური აგენტებისგან, ასევე სახელმწიფო უწყებებისგან. განხორციელდა ახსნა-განმარტებების მიღება მოკვლევის უშუალო მხარეებისგან. გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები ბაზარზე მომსახურების პოტენციურად მომწოდებელ ეკონომიკურ აგენტებთან და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან.

საბოლოოდ, მოკვლევის მიმდინარეობის პროცესში მიღებული მოცულობითი ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის შედეგად, სააგენტომ 2017 წლის 23 ივნისის ბრძანებით დაადგინა, რომ არ გამოიკვეთა მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობისა და შესაბამისად, მათ მიერ კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი.

ასევე, მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ შპს „მაიჯიპიესს“ შეეზღუდა ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას. შესაბამისად, საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ბაზარზე, სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარედგინა განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

❖

„აიტექნიკის“ საჩივრის საფუძველზე წარმოებული მოკვლევა

2017 წლის 19 ივლისს სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება „აიტექნიკის“ საჩივართან დაკავშირებით. საკითხი შეეხებოდა კომპანია „Apple Inc.“-ის პროდუქციის (მობილური ტელეფონები - iPhone, MacBook და მათი აქსესუარები) რეალიზაციის განმახორციელებელი 3 (სამი) ეკონომიკური აგენტის - შპს „აიპლუსის“, შპს „ეფლ სითისა“ და შპს „აისტაილის“ მხრიდან - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) და 11³ მუხლების (არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა) შესაძლო დარღვევის ფაქტს.

მე-7 მუხლის შემთხვევაში, სააგენტომ შეამოწმა, იძლეოდა თუ არა სააგენტოს ხელთარსებული მტკიცებულებები მოპასუხეებს შორის ფასზე შეთანხმების დადასტურების შესაძლებლობას. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის მიზნით, სააგენტომ მომხმარებელთა სპეციალური გამოკითხვა აწარმოა. ასევე, სპეციალური კითხვარი გაეგზავნათ მობილური ტელეფონებისა და პორტატული კომპიუტერების რეალიზატორ კომპანიებსაც.

მიღებული ინფორმაციის დამუშავება/ანალიზის შედეგად, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი არ გამოიკვეთა, ვინაიდან მათი საბაზრო ქცევის პარალელიზმისთვის რეალურად არსებობდა ლოგიკური ეკონომიკური მიზეზები და ასევე, საქმეში არ მოიპოვებოდა და არც მომჩივან მხარეს წარმოუდგენია მოპასუხეთა შორის რაიმე შეთანხმების დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულება.

რაც შეეხება 11³ მუხლს, შეფასდა, შპს „აიპლუსის“ მიერ ჰქონდა თუ არა ადგილი კანონდარღვევას საქმის სამ ეპიზოდში:

- შპს „აიტექნიკის“ მფლობელობაში არსებული Facebook-ის გვერდის დარეპორტება და გაუქმება;
- Facebook-ის გვერდების - „მატყუარა აიტექნიკისა“ და “iTechnics Georgia”-ს შექმნა და ადმინისტრირება;
- ვებ-გვერდ www.itechnics.ge-ს შექმნა და ადმინისტრირება.

კანონის მე-11³ მუხლთან მიმართებით, სააგენტომ დაადგინა, საქმეში განხილული რამდენიმე ეპიზოდიდან ერთ-ერთში, კერძოდ, ვებ-გვერდ - www.itechnics.ge-ის მართვის ნაწილში, სახეზე იყო „აიპლუსის“ მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი, ვინაიდან www.itechnics.ge-ზე განთავსებული მასალა ფორმითა და შინაარსით ლახავდა შპს „აიტექნიკის“ რეპუტაციას და მას შეეძლო გამოეწვია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

დარღვევის აღმოსაფხვრელად, კომპანიას დაევალა, ვებ-გვერდის ერთ-ერთ ზედა კუთხეში მომხმარებლისთვის ადვილად აღქმადი ბანერის განთავსება, სადაც მიეთითებოდა აღნიშნული ვებ-გვერდის შპს „აიტექნიკთან“ კავშირის არარსებობის შესახებ. შპს ,,აიპლუსის“ მიერ დარღვევა დაუყოვნებლივ იქნა აღმოფხვრილი.

❖

სადაზღვევო კომპანია უნისონის საჩივრის საფუძველზე განხორციელებული მოკვლევა

2017 წლის 5 სექტემბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ საჩივრის საფუძველზე, „კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის **მე-10 მუხლის** სავარაუდო დარღვევის ფაქტზე წარმოებულ მოკვლევასთან მიმართებით. საჩივარი ეხებოდა, სახელმწიფო შესყიდვების წესით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში მხოლოდ ბანკების მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მოთხოვნის შეუსაბამობას კონკურენციის კანონის მოთხოვნებთან.

სააგენტოს მიერ წარმოებული მოკვლევის პროცესში ჩართულნი იყვნენ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები. წერილობითი კორესპონდენციის საშუალებით, სააგენტოს მოკვლევისთვის საჭირო ინფორმაცია მიეწოდა შესაბამისი ბაზრის მონაწილეების - საქართველოს ბაზარზე ლიცენზირებული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების მხრიდანაც.

მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სააგენტომ დაადგინა, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიების გაცემის უფლება აქვთ როგორც ბანკებს, ისე სადაზღვევო კომპანიებს. შესაბამისად, მოპასუხე სუბიექტების მიერ გამოცხადებულ განსახილველ ტენდერებში მხოლოდ ბანკების მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მოთხოვნა ზღუდავს კონკურენციას და წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლის დარღვევას. სააგენტომ მიიჩნია, რომ ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან სადაზღვევო სექტორის გამკაცრებული რეგულირების პირობებში, საბანკო და სადაზღვევო სექტორების განმასხვავებელი თავისებურებები ვერ ამართლებს მსგავსი შეზღუდვის დაწესებას და ამ მოთხოვნის დაწესებით, შემსყიდველი ორგანიზაციები საბანკო დაწესებულებებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებენ სადაზღვევო კომპანიებთან შედარებით.

ამასთან, ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა რეკომენდაციები როგორც შემსყიდველი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს მთავრობისა და სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიმართ.

❖

ბათუმში გარე სარეკლამო საქმიანობაზე წარმოებული მოკვლევა

2017 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, კონკურენციის სააგენტომ დასრულდა მოკვლევა, რომელიც მიმდინარეობდა შპს ,,ლიბოს“ საჩივრის საფუძველზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. მომჩივანი მიუთითებდა, აუქციონის ჩატარების გარეშე, მისი კონკურენტისათვის ბათუმის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ვადის გაგრძელებაზე და აღნიშნული ქმედების კონკურენციის კანონმდებლობასთან შეუსაბამობაზე.

კონკურენციის სააგენტომ მოკვლევის პროცესში, მოპასუხე მხარეების, სახელმწიფო უწყებებისა და შესაბამისი ეკონომიკური აგენტებისგან, ყველა საჭირო ინფორმაცია გამოითხოვა. განხორციელდა პროცედურებით დადგენილი ახსნა-განმარტებების მიღება. მოკვლევის საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირების თაობაზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმაც, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველო.

შესაბამისი მასალების დამუშავებისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, სააგენტომ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, გაცემულ ნებართვაში ცვლილების შეტანის გზით ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების საშუალებას შესაბამისი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. ამდენად, ხსენებული ქმედება არ მოექცა კონკურენციის კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებში და მან გამოიწვია ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევის გზით.

2.2. მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები

2017 წლის განმავლობაში, სააგენტომ მიიღო 6 გადაწყვეტილება სააგენტოში წარმოდგენილი განცხადების/საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. 4 შემთხვევაში სახეზე იყო განცხადება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, ხოლო 2 საკითხი წარმოდგენილი იქნა საჩივრის ფორმით.



2 საკითხი ეხებოდა კანონის მე-10 მუხლის დარღვევას, 2 მათგანი მიუთითებდა 11³ მუხლის დარღვევაზე, 1 მათგანი შეეხებოდა კანონის მე-7 მუხლს, ხოლო 1 - მე-6 და 11³ მუხლების ერთობლივ დარღვევას.



1) 2017 წლის 9 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით, სააგენტომ დაუშვებლად ცნო ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადება, რომელიც შეეხებოდა სასტუმროების ონლაინ დაჯავშნის პლატფორმის - **booking.com**-ის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტს, კერძოდ - ხელშეკრულებაში არსებული ე.წ. “MFN პირობების“ (ერთ-ერთი კონტრაჰენტისთვის ყველაზე ხელსაყრელი ან სხვა კონტრაჰენტებთან შედარებით არანაკლებ ხელსაყრელი პირობის შეთავაზება) შეუთავსებლობას საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სააგენტომ ჩართო განმცხადებელი და დაინტერესებული მხარეები, კერძოდ, განცხადება გადაეგზავნა საქართველოში მოქმედ სასტუმროებს (ოპერატორ კომპანიებს) და დამუშავდა მათგან მიღებული ინფორმაცია. სააგენტოს მიერ გამოკითხული ეკონომიკური აგენტებისაგან არც ერთს გამოუთქვამს უკმაყოფილება Booking.com-ის საქმიანობასთან მიმართებით; პირიქით, მათი უმრავლესობა Booking.com-ს საკუთარი მომსახურების საჯაროდ შეთავაზების ეფექტიან საშუალებად მიიჩნევდა და ქართული ტურისტული ბიზნესის განვითარებაში აღნიშნული პლატფორმის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებდა.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სააგენტომ დაამუშავა საერთაშორისო პრაქტიკა და ევროკავშირის ქვეყნებში Booking.com-თან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები. მოპასუხე კომპანიამ გამოთქვა მზადყოფნა, ევროკავშირის ქვეყნებში დამტკიცებული სავალდებულო პირობები ნებაყოფლობით გაავრცელოს საქართველოს ტერიტორიაზეც. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ბაზარზე Booking.com ოპერირებას გააგრძელებს იმ პირობებით, რომლებიც დადგენილი და აპრობირებულია ევროკავშირის წამყვანი კონკურენციის ორგანოების მიერ, ხოლო სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ ორგანოს, ექნება შესაძლებლობა, შეამოწმოს აღნიშნული პირობების იმპლემენტაცია საქართველოს ბაზარზე. ამდენად, ამ ეტაპზე მოკვლევის დაწყება მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული.

2) 2017 წლის 6 თებერვალს გამოცემული ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს“ უარი ეთქვა 7 დეკემბერს წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე. ორგანიზაცია მიუთითებდა **სათამაშოების ბაზარზე რეალიზებული თოჯინების** ხარისხის შეუსაბამობას ამ თოჯინებზე დატანებულ CE-ნიშანთან, კერძოდ, მისი პოზიციით, ადგილი ჰქონდა შპს „თოი ლენდის“, შპს „ცეროდენას“, შპს „ბანა თოის“, შპს „ოცნების სამყაროს“, შპს „ჰობი მასტერის“, სს „გუდვილის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას შპს „ანვოლის“ მიმართ.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტების მიზნით შეხვედრა შედგა როგორც განმცხადებლის, ასევე მოპასუხე მხარეების წარმომადგენლებთან. განხილვის პროცესში აგრეთვე ჩაერთვნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, შემოსავლების სამსახური და საქართველოს სტანდარტებისა და მეტეოროლოგიის ეროვნული სააგენტო.

როგორც აღმოჩნდა, სათამაშოების უსაფრთხოების ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივასთან (2009/48/EN) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება 2019 წლისთვისაა გათვალისწინებული. დღეისათვის, არ არსებობს ბაზრის ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოს ბაზარზე უსაფრთხო სათამაშოების განთავსებას, ბაზრის კონტროლს და ზოგადად, სათამაშოებზე CE ნიშანდებასთან დაკავშირებული ვალდებულებები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ მიიჩნია, რომ მეწარმეთა ვალდებულებების მარეგულირებელი შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების არარსებობის პირობებში, ვერ იქნება შეფასებული განცხადებაში მოცემული ეკონომიკური აგენტების მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედებების განხორციელების საკითხი. შესაბამისად, ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი.

3) სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად, მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოკვლევის დაწყება **შპს „აიპლუსის“** საჩივრის საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა Apple-ის ნიშნის გამოყენებით მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის მცდელობასა და „აიპლუსის“ წინააღმდეგ მიმართულ ცრუ კამპანიას შპს „აიტექნიკის“ მიერ. მომჩივნის მოსაზრებით, ხსენებული ქმედება წარმოადგენდა ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის სავარაუდო დარღვევას (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია).

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სააგენტომ დაადგინა, რომ საქართველოში დაცული სასაქონლო ნიშნებიდან არც მომჩივანი და არც მოპასუხე ეკონომიკური აგენტები არ წარმოადგენდნენ „Apple Inc.”-ის კუთვნილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების მფლობელებს და არც ერთი მათგანი არ უარყოფდა, რომ არ არიან Apple-ის ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოში. შესაბამისად, სავაჭრო ნიშნის გამოყენების უფლების ნაწილში, ისინი ვერ იქნებოდნენ განხილული ერთმანეთის კონკურენტებად.

ამასთან, საქმის მასალებზე დაყრდნობით, ვერ იქნა დადგენილი მოპასუხის მიერ შპს „აიპლუსისათვის“ მიყენებული ზიანის სახე და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და მომჩივანის მიერ განცდილ სავარაუდო ზიანს შორის. ამდენად, ხსენებულ საკითხზე მოკვლევის დაწყება, გონივრული ეჭვის არარსებობის პირობებში, სააგენტომ მიზანშეუწონლად მიიჩნია.

4) სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 28 მარტის ბრძანების შესაბამისად, დაუშვებლად იქნა ცნობილი **ქალაქ გორში, ტაქსებით მომსახურეობის ბაზარზე** მოქმედი 11 სუბიექტის ერთობლივი განცხადება, შპს „კატენას“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და 11³ მუხლების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

განმცხადებლების პოზიციით, არსებობდა რისკი, რომ ქალაქ გორში ტაქსებით მომსახურების ბაზარზე შესვლისას „კატენა“ ბოროტად გამოიყენებდა დომინირებულ მდგომარეობას, რადგან მსგავსი რამ უკვე განხორციელდა ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ ბათუმში. თუმცა არც განმცხადებლებისგან და არც განცხადებაში დასახელებული სხვა პირებისგან, „კატენას“ მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან მიმართებით, კონკრეტული ინფორმაცია სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

განმცხადებლები არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევდნენ შპს „კატენას“ მხრიდან კლიენტებისთვის დაბალი ფასის შეთავაზებას და მძღოლებისათვის კლიენტის მიერ მიღებულ ანაზღაურებაზე თანხის დამატებას, რისი მეშვეობითაც კონკურენტებისგან ხდება როგორც კლიენტების, ისე მძღოლების გადინება. კომპანიების ვარაუდით, მოკლევადიან პერიოდში შპს „კატენა“ შეძლებდა კონკურენტების გაკოტრებას, ხოლო შემდგომ გაზრდიდა მომსახურების ფასს, თუმცა, განმცხადებლებთან შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ტიპის ქმედებებს ქალაქ გორში ადგილი ჯერ-ჯერობით არ ჰქონდა.

ამდენად, გონივრული ეჭვის სტანდარტის გათვალისწინებით, ხსენებული განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი და სააგენტომ უარი თქვა მოკვლევის დაწყებაზე.

5) სააგენტოს 2017 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სს “კონდოტე დაკვას“ უარი ეთქვა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, რომელიც შეეხებოდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

აღნიშნული საჩივარი ეხებოდა, დონორი ორგანიზაციის - რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სახსრებით, საგზაო დეპარტამენტის მიერ

გამოცხადებულ ტენდერში კონკურენციის დარღვევის საკითხს. კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი შეღავათის დაწესებას, რომელიც მას კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა და ზღუდავდა კონკურენციას.

ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტომ დაადგინა, რომ განსახილველ ტენდერში პირობების დადგენა, პროცედურების დაცვის კონტროლი და გამარჯვებულის გამოცხადება განხორციელდა დონორის მიერ დადგენილი პირობებით, მისივე სახელმძღვანელო წესების საფუძველზე. დეპარტამენტის მიერ ტენდერის რომელიმე ეტაპისა და პროცედურის დარღვევა გამოიწვევდა შესყიდვის პროცედურის არასწორ წარმართვას და დონორს შეეძლო უარი განეცხადებინა სესხის გამოყოფაზე, რაც არ მომხდარა.

აღნიშნული მოცემულობა, სააგენტოს პრაქტიკით, განხილული და შეფასებულია, როგორც კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან გამონაკლისი, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციის შინაარსის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია გარეშე პირზე - დონორზე და არა შესაბამის სახელმწიფო უწყებაზე. ამდენად, დარღვევის თაობაზე გონივრული ეჭვის არარსებობის პირობებში, ხსენებული განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყება მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული.

6) სააგენტოს 2017 წლის 13 ნოემბრის ბრძანების შესაბამისად, დაუშვებლად იქნა ცნობილი სს ,,საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ განცხადება, შპს „საქართველოს ფოსტასა“ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ. წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობის შესწავლისა და მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის განსაზღვრის ეტაპზე, სააგენტომ გააანალიზა როგორც განმცხადებლის პოზიცია, ასევე მის მიერ დასახელებული პირების (ფოსტისა და სატრანსპორტო კომპანიის) მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტაცია.

ვინაიდან ორივე მოპასუხე კომპანია წარმოადგენდა კერძო სამართლის იურიდიულ პირს და არა სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ისინი ვერ იქნებოდნენ განხილულნი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დარეგულირებულ სუბიექტებად. შესაბამისად, ვერ შეფასდებოდა მათ მიერ ამ ნორმის მოთხოვნათა დარღვევის საკითხიც. ამდენად, სააგენტომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოკვლევის დაწყებისათვის შესაბამისი კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

3. კონცენტრაცია

2017 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ განიხილა 2 შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე.

❖

„ცემენტ ინვესტ ბის" და „ჰაიდელბერგ ცემენტ სენტრალ იუროფ ისთ ჰოლდინგის" კონცენტრაცია

2017 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებით, კონკურენციის სააგენტომ დაამტკიცა გადაწყვეტილება „ცემენტ ინვესტ ბი ვის" მიერ „ჰაიდელბერგ ცემენტ სენტრალ იუროფ ისთ ჰოლდინგის" წილთა შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკრეტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

მიღებული დოკუმენტაციისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, შესაბამის დაწესებულებათა წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად, სააგენტოს მიერ განისაზღვრა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა და მათი წილობრივი მონაცემები. კომპანიათა წლიური ბრუნვის მიხედვით, გამოთვლილ იქნა კონცენტრაციის დონე შესაბამის ბაზარზე. სააგენტომ გამოითხოვა საჭირო ინფორმაცია, როგორც კონცენტრაციის მონაწილე მხარეებისაგან, ასევე იმ ეკონომიკური აგენტებისაგან, რომლებიც საქმიანობდნენ ცემენტის სასაქონლო ბაზარზე.

მიღებული მასალების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოსალოდნელი კონცენტრაციის განხორციელების შედეგად, შესაბამის ბაზარზე არ შეიცვლებოდა კონცენტრაციის დონე და კონცენტრაცია არ შეზღუდავდა ეფექტიან კონკურენციას.

ამდენად, სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

❖

შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტის“ კონცენტრაცია

2017 წლის 4 დეკემბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ თანხმობა გასცა შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტის“ კონცენტრაციაზე, რაც გულისხმობდა შპს „ალტას“ მიერ შპს „მეტრომარტის“ 50% წილის შეძენას.

სააგენტოს გადაწყვეტილება დაეფუძნა მიღებული დოკუმენტაციის ანალიზის, საერთაშორისო პრაქტიკის დამუშავებისა და შესაბამის ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლის შედეგებს.

შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტის“ კონცენტრაციის წინასწარ შეტყობინებაში ელექტრო საქონლის სასაქონლო ბაზარი დაყოფილი იყო „თეთრი“ და „შავი“ ტექნიკის სახით და შესაბამისად, წარმოდგენილ იქნა ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა ამ სახის საქონლის იმპორტს.

სააგენტომ, შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაადგინა ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები და კონცენტრაციის დონე, რომელიც გამოითვალა საცალო და საბითუმო სფეროს კომპანიათა წლიური ერთობლივი შემოსავლების მიხედვით.

საბოლოოდ დადგინდა, რომ შესაბამის ბაზარზე კონცენტრაციის დონე მნიშვნელოვნად არ იცვლება და კონცენტრაცია არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას. ამდენად, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ და გასცა შესაბამისი თანხმობა.

4. სახელმწიფო დახმარება

2017 წელს სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო დახმარების 1 განცხადებასთან მიმართებით.

❖

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განცხადება

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №529 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმებას ექვემდებარება სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გასაცემი სახელმწიფო დახმარებები.

შესაბამისად, სააგენტომ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განცხადება, 2017 წლის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრისათვის“ 90 000 ლარის ოდენობის სახელმწიფო დახმარების გაცემის თაობაზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლის ბიუჯეტიდან გასაცემი სახელმწიფო დახმარების გამოყენება იგეგმებოდა შემდეგი მიმართულებებით: 1) მევენახეობა - გურული ვაზის ენდემური ჯიშების მოძიებისა და პოპულარიზაციიის მიზნით; 2) ხეხილის სადემონსტრაციო ნაკვეთის გაფართოება - განვითარებისათვის; 3) სასათბურე მეურნეობის მოწყობისათვის; 4) მარადმწვანე ხე-მცენარეების ნერგების გამოყვანისათვის; 5) ჩაის კულტურის აღორძინება/პოპულარიზაციისათვის. ასევე, დაგეგმილი იყო დაინტერესებული სუბიექტებისათვის, საკონსულტაციო და სემინარული ხასიათის შეხვედრების ორგანიზება.

სააგენტოს მიერ მოძიებული და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ა(ა)იპ ,,ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრისათვის“ 90 000 ლარის ოდენობის სახელმწიფო დახმარების გაცემა არ გამოიწვევდა ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას და შესაბამისობაში იყო კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან. შესაბამისად, სააგენტოს მიერ გაცემული იქნა დადებითი დასკვნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გასაცემ სახელმწიფო დახმარებასთან მიმართებით.

5. რეკომენდაციები

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ 2017 წლის განმავლობაში გაცემულ იქნა 10 რეკომენდაცია, მათ შორის:

- ეკონომიკურ აგენტებზე გაიცა 5 რეკომენდაცია;
- საქართველოს მთავრობაზე გაიცა 1 რეკომენდაცია;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე გაიცა 2 რეკომენდაცია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე გაიცა 2 რეკომენდაცია.



6. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კონკურენციის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების ღონისძიებებში ჩართულობა და სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. მსგავსი კონტაქტები იძლევა ცოდნისა და ინფორმაციის მოპოვების ეფექტიან საშუალებას და ხელს უწყობს გამოცდილების ორმხრივ გაზიარებას.

2017 წელი განსაკუთრებულად ნაყოფიერი იყო კონკურენციის სააგენტოსათვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის ორგანოებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით. სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, სააგენტოს თანამშრომლებს საშუალება მიეცათ, მონაწილეობა მიეღოთ

არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმსა თუ კონფერენციაში, მიეღოთ ინფორმაცია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და საქმიანობის კონკრეტული მიმართულებების თაობაზე. მსგავსი სახის ღონისძიებებში აქტიური ჩართულობისა და მაღალი დონის ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეხვედრების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სააგენტოს ცნობადობა, დამყარდა საჭირო კონტაქტები და უცხოელ კოლეგებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესახებ.

❖

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

დაფუძნების დღიდან, კონკურენციის სააგენტო აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ევროპელი ექსპერტების მიერ გამართულ არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში, რაც ხელს უწყობს კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებასა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.
2017 წლის მანძილზე, OECD-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ შემდეგ ღონისძიებებს:

- **OECD ევრაზიის კვირეული** - რომელიც ყაზახეთში, ქალაქ ალმათში გაიმართა. OECD-ის კონკურენციის ექსპერტებთან და სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციის უწყებების ხელმძღვანელებთან ორმხრივ შეხვედრებზე საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე ნოდარ ხადურმა თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. საუბარი საქართველოში კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფასა და იმპლემენტაციას შეეხო. ღონისძიების ფარგლებში, ნოდარ ხადურმა შეხვედრები გამართა უკრაინელ და მოლდოველ კოლეგებთან, იური ტერენტიევსა და ვიქტორია კარარესთან.

- **OECD კონკურენციის გლობალური ფორუმის მე-16 შეხვედრა** - რომელიც 7-8 დეკემბერს საფრანგეთში, პარიზში გაიმართა. ფორუმის ფარგლებში, შედგა შეხვედრა OECD-ის კონკურენციის განყოფილების ხელმძღვანელთან - ანტონიო გომესთან და მეგობარი ქვეყნების - ლიტვის, ლატვიის, უკრაინის, ყაზახეთის, უნგრეთისა და პერუს კონკურენციის უწყებების ხელმძღვანელებთან.

  ფორუმზე, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციის უწყების მაღალი რანგის პირები და ექსპერტები ესწრებოდნენ, კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენელი პრეზენტაციით წარსდგა.

- საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელმა OECD-ის კონკურენციის განყოფილებაში, 2 კვირიანი პრაქტიკული-სასწავლო კურსი გაიარა. კურსის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენელი OECD-ის კონკურენციის კომიტეტის შეხვედრებს დაესწრო. იგი ასევე ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში იყო ჩართული და საშუალება ჰქონდა, კონკურენციის საერთაშორისო ორგანოების მიღწევებსა და გამოცდილებას ადგილზე გაცნობოდა.

- საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, ნოდარ ხადური ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრის (OECD-GVH RCC) მიერ ორგანიზებულ შეხვედრას დაესწრო, რომელშიც 20-მდე ქვეყნის კონკურენციის უწყების პირველი პირი იღებდა მონაწილეობას. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ეფექტიანი თანამშრომლობის მიზნით, მონაწილე უწყებებს შორის მოლაპარაკებები შედგა და სამომავლოდ სხვადასხვა სახის აქტივობები დაიგეგმა. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, შედგა შეხვედრა სააგენტოს თავმჯდომარესა და უნგრეთის კონკურენციის ორგანოს პრეზიდენტს მიკლოშ იუნასზს შორის.

- წლის განმავლობაში, სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ OECD-GVH RCC-ის მიერ უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში ორგანიზებულ 3 სემინარს, თემებზე: „შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა“, „საუკეთესო პრაქტიკა კარტელის პროცედურებში“ და „კონკურენციის წესები ფარმაცევტულ სექტორში“.

- OECD-ის 2017 წლის ივლისის თვის ბიულეტენში, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტის თანამშრომლის ლაშა ბიკაშვილის სტატია გამოქვეყნდა, სახელწოდებით: „მგზავრთა ავია გადაყვანის ბაზრის მონიტორინგი“.



❖

სოფიას კონკურენციის ფორუმი

SCF
Sofia Competition Forum

საქართველოს კონკურენციის სააგენტო 2014 წლის 2 სექტემბრიდან არის სოფიას კონკურენციის ფორუმის წევრი (SFC) და აქტიურად მონაწილეობს ორგანიზაციის ეგიდით გამართულ ღონისძიებებში. სააგენტოს ორმა წარმომადგენელმა 2017 წლის ოქტომბერში მონაწილეობა მიიღო ბულგარეთში, ქალაქ სოფიაში გამართულ კონკურენციის მეათე შეხვედრაში. სააგენტოს წარმომადგენლებმა ფორუმზე პრეზენტაციის სახით საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მუშაობის შესახებ ინფორმაცია წარადგინეს.

სოფიას კონკურენციის ფორუმის საინფორმაციო ბიულეტენის მესამე გამოცემაში დაიბეჭდა სტატიები საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თაობაზე. (იხ. ლინკი - http://competition.ge/ge/page4.php?b=682

❖

საერთაშორისო კონკურენციის ქსელი

International Competition Network

საერთაშორისო კონკურენციის ქსელი (ICN) არის ექსკლუზიურად კონკურენციის სამართლის აღსრულების საკითხებზე მომუშავე ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც საქართველოს კონკურენციის სააგენტო 2014 წლის 29 ოქტომბერს გაწევრიანდა. კონკურენციის სააგენტოს 5-მა წარმომადგენელმა ICN-ის მიერ პორტუგალიაში, ქალაქ პორტოში ორგანიზებულ 2017 წლის წლიურ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც 500-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა. ღონისძიების ფარგლებში, შედგა შეხვედრები კონკურენციის საერთაშორისო ქსელის თავმჯდომარე ანდრიას მუნდტსა და OECD-ის კონკურენციის კომიტეტის ხელმძღვანელ ანტონიო გომესთან.

კონფერენციის პარალელურად, სააგენტოს თავმჯდომარემ, ნოდარ ხადურმა მსოფლიო ბანკის ვაჭრობისა და კონკურენციის გლობალური პრაქტიკის დირექტორთან, კლაუს ტილმესთან და კონკურენციის პოლიტიკის წამყვან სპეციალისტ - მარტა მარტინეს ლიცესტთან გამართა შეხვედრა.

❖

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, ნოდარ ხადური, სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ორგანოში (UNCTAD), მომხმარებელთა დაცვის კანონისა და პოლიტიკის მთავრობათაშორისი ექსპერტთა ჯგუფის მე-2 შეხვედრას დაესწრო. შეხვედრაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებელთა დაცვის ორგანოების წარმომადგენლები მონაწილეობენ. შვეიცარიაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, სააგენტოს დელეგაცია დაესწრო კონკურენციის კანონისა და პოლიტიკის შესახებ მთავრობათაშორისი ექსპერტთა ჯგუფის მე-16 შეხვედრას. ასევე, გაიმართა შეხვედრა UNCTAD-ის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელთან, ტერესა მორეირასთან.

❖

ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ, ნოდარ ხადურმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ვაშინგტონში, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) 65-ე ყოველწლიურ ანტიმონოპოლიურ საგაზაფხულო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე განხილულ იქნა შემდეგი თემები: ანტიმონოპოლიური სამართლის პრიორიტეტები; კონკურენციის განვითარებისა და ხელშეწყობის ხერხები; საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვისა და გაძლიერების საშუალებები.

ღონისძიების პარალელურად, ნოდარ ხადურმა გამართა შეხვედრები მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთან, ფრენკ ჰიმსკერკსთან, მსოფლიო ბანკის მმართველობის გლობალური პრაქტიკის უფროს დირექტორთან დებორა ლ. უეტზელსთან და ამავე პრაქტიკის მარეგულირებელი პოლიტიკისა და მენეჯმენტის გლობალურ ლიდერთან, პეტერ ლადეგაარდსთან.

❖

შეხვედრები დონორ ორგანიზაციებთან

სააგენტოს საქმიანობის ხელშეწყობის, მისი შესაძლებლობების გაზრდისა და განვითარების მიზნით, 2017 წლის მანძილზე გაიმართა არაერთი შეხვედრა დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მათ შორის:

- შეხვედრა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთან სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში - ბრუნო ბალვანერასთან;
- შეხვედრა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორთან - მერსი ტემბონთან;
- შეხვედრა აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენელთან საქართველოში - იეშიმ ელჰან-კაიალართან;

- შეხვედრა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების რეგიონულ დირექტორთან - მერი შეფერთან;
- შეხვედრა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს საქართველოს ოფისის მუდმივ წარმომადგენელთან - იუკიჰო ეჯირთან;
- შეხვედრა მსოფლიო ბანკის ჯგუფის მთავარ ეკონომისტებთან - ვოლფგანგ ფენგლერთან და ჯონ გაბრიელ გოდარდსთან;
- ვიდეოკონფერენცია მსოფლიო ბანკის ჯგუფის კონკურენციის პოლიტიკის წამყვან სპეციალისტ - მართა მარტინეზ ლიცეტსა და მთავარ ეკონომისტ - გრაციელა მირალეს მურციეგოსთან;
- შეხვედრა ევროკავშირის პროექტის - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ განმახორციელებელი კომპანიის B&S Europe-ის დირექტორთან - რაფაელ კომენჟთან და დირექტორის მოადგილე - მიჰაელა დასკულტუსთან;

- შეხვედრა ევროკავშირის კონკურენციის გენერალური დირექტორატის უმაღლესი თანამდებობის პირთან - იოანეს ლეიტენბერგერთან;
- შეხვედრა OECD-ის კონკურენციის კომიტეტის თავმჯდომარე - ფრედერიკ ჯენისთან და OECD-ის კონკურენციის განყოფილების ხელმძღვანელ - ანტონიო გომესთან;
- შეხვედრა გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელთან - ტერესა მორეირასთან;
- შეხვედრა ევროპული ბიზნეს ასოციაციის ხელმძღვანელთან საქართველოში - დევიდ ლისთან.

❖

შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ გამართა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან:

- შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, დურსუნ ჰასანოვთან. შეხვედრაზე მხარეებმა, კონკურენციის სფეროში საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს და კავშირების გაღრმავების აუცილებლობაზე ისაუბრეს;

- შეხვედრა ბელორუსის ელჩთან საქართველოში, მიხეილ მიატლიკოვთან. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის აქტუალური საკითხები მიმოიხილეს და კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერების და ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებაზე ისაუბრეს;
- შეხვედრა ბულგარეთის საელჩოს მრჩეველთან ეკონომიკურ საკითხებში - კრასენ ბალევთან.

7. სააგენტოს ვალდებულებების შესრულება

❖

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება

საქართველო ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული ნაწილი საფუძვლად უდევს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA). ასოცირების შეთანხმების პრეამბულის ერთ-ერთი დანაწესი, ისევე როგორც DCFTA-ის კონკურენციის თავი (ასოცირების შეთანხმების 203-209 მუხლები), ყურადღებას ამახვილებს კონკურენციის სამართლის ეფექტიანი აღსრულების მნიშვნელობაზე.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგი, თავის მხრივ, აკონკრეტებს მხარეთა პრიორიტეტებს კონკურენციის მიმართულებით, ხოლო კონკრეტული ვალდებულებები დეტალიზებულია საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, კონკურენციის სააგენტოს ნაკისრი ვალდებულებები უნდა შეესრულებინა შემდეგი აქტივობების განხორციელებით:

- საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ჩატარება კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა თემაზე;
- კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისთვის ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა თემაზე და მათი მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში.

აღნიშნული ვალდებულებები სრულყოფილად იქნა შესრულებული კონკურენციის სააგენტოს მიერ. კონკურენციის სამართლის შესახებ საჯარო და კერძო სექტორის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლების, ბიზნეს-სუბიექტების, სამოქალაქო სექტორის მონაწილეობით, ჩატარდა 12 სემინარი/კონფერენცია. ხოლო სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, განხორციელდა 30-მდე აქტივობა (სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და ა.შ.), რასაც მოჰყვა თანამშრომელთა უმრავლესობის გადამზადება.

ინფორმაცია ვალდებულების შესრულების თაობაზე, ყოველკვარტალური და წლიური სახით, მიეწოდა DCFTA-ის ფარგლებში კოორდინაციაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებას - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

გარდა ამისა, კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ვაჭრობის საკითხებში ასოცირების კომიტეტის შეხვედრაში, რომელიც 2017 წლის 6 დეკემბერს თბილისში გაიმართა. კონკურენციის თავის განხილვისას დადებითად შეფასდა საქართველოს პროგრესი აღებული ვალდებულებების (კონკურენციის სამართლის აღმასრულებელი ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერება, კონკურენციის პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება) შესრულებაში.

❖

საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამა „ევროკავშირი-საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა“

ინსტიტუციური გაძლიერების ტრენინგების გეგმის განხორციელების ანგარიში

ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, კერძოდ, შეთანხმების კონკურენციის თავი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკას და ქვეყანაში ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობის არსებობას, რომელსაც აღასრულებს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.

ახლად ფორმირებული კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, გამოიცა სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 დეკემბრის №199 ბრძანება „სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016-2018 წლების ტრენინგების გეგმის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - „ტრენინგების გეგმა“). ტრენინგების გეგმა წარმოადგენს ნორმატიულ საფუძველს კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობებისთვის, რომლებიც გაწერილია სამი წლის განმავლობაში და ხორციელდება საერთაშორისო და ადგილობრივი დონორების მხარდაჭერით.

2017 წელს, ტრენინგების გეგმის შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოს ჰქონდა 5 ტრენინგის ჩატარების ვალდებულება:

	2017 წელი		
N	ტრეინინგის დასახელება	სამიზნე ჯგუფი	მონაწილეთა რაოდენობა
1	კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისები	კონკურენციის სააგენტო	10 – 15
2	თანამშრომლობის პროგრამა	კონკურენციის სააგენტო, კერძო სექტორის წარმომადგენლები	15-20
3	შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, პროდუქტიული საზღვრების დადგენა	კონკურენციის სააგენტო	10 – 15
4	სახელმწიფო შესყიდვების დროს კარტელური შეთანხმებების გამოვლენა	კონკურენციის სააგენტო, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	15-20
5	ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები	კონკურენციის სააგენტო	10 – 15

აღნიშნული საკითხები შერჩეულ იქნა სააგენტოს ყოველდღიურ საქმიანობაში რელევანტურობისა და კონკურენციის სამართლის სწორი და სწრაფი აღსრულებისთვის მათი დიდი მნიშვნელობის გამო. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, განსაკუთრებით კი, ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენა, კონკურენციის სფეროში მოკვლევის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტია თანამშრომლების გაცნობიერება უახლეს ანალიტიკურ მიდგომებსა და კონკურენციის სამართლის აღსრულების პრაქტიკულ გზებში. სახელმწიფო შესყიდვების დროს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი უმძიმესი დარღვევაა და საერთაშორისო ორგანიზაციების (OECD, ICN) მიერ მნიშვნელოვან გლობალურ გამოწვევად მიიჩნევა. შესაბამისად, საჭიროდ ჩაითვალა ამ საკითხთან დაკავშირებით კონკურენციის სააგენტოსა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება და სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კარტელებთან ბრძოლის შესაძლებლობების გაძლიერება. ამ კუთხით კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება ხელს უწყობს თავისუფალ და კეთილსინდისიერ კონკურენციას სახელმწიფო შესყიდვების პროცესში.

ტრენინგი ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებებისა და მათგან გამონაკლისების შესახებ სააგენტოს თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღასრულონ კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ბოლოს, ტრენინგი თანამშრომლობის პროგრამასთან დაკავშირებით, ფართო სამიზნე ჯგუფით (რომელშიც შედიან არამხოლოდ სააგენტოს, არამედ ქართული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებიც) წარმოადგენს ბიზნესისა და კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის წახალისების მცდელობას. ტრენინგის მიზანია,

გაზარდოს თანამშრომლობის პროგრამის შესახებ ცნობადობა და, შედეგად, ეკონომიკური აგენტების მხრიდან თანამშრომლობის შესახებ განაცხადების რიცხვიც.

ზემოთ ჩამოთვლილი ტრენინგები 2017 წლის მანძილზე წარმატებით იქნა ჩატარებული.

2017 წლის 5 ივნისს თბილისში გაიმართა ტრენინგი შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შესახებ და მას სააგენტოს 17 წარმომადგენელი დაესწრო. 2017 წლის 6 ივნისს თბილისში ჩატარებული ტრენინგი მიეძღვნა სახელმწიფო შესყიდვების დროს კარტელური შეთანხმებების გამოვლენას, რომელსაც კონკურენციის სააგენტოსა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 25-მდე წარმომადგენელი დაესწრო. ორივე ტრენინგი ჩატარდა კონკურენციის სამართლის წამყვანი მკვლევარებისა და პრაქტიკოსების მიერ, ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ ფარგლებში.

მესამე ტრენინგი, თანამშრომლობის პროგრამის შესახებ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითრების ბანკის მხარდაჭერით, 22 სექტემბერს ჩატარდა. ტრენინგს უძღვებოდნენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 10 წარმომადგენლის გარდა, ღონისძიებას ბიზნეს სექტორის 40 წარმომადგენელი დაესწრო.

დარჩენილი 2 ტრენინგი - ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებებისა და მათი აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ, 23-25 ოქტომბერს ჩატარდა, ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ ფარგლებში. ტრენინგების ციკლს ლიტვის კონკურენციის საბჭოს წარმომადგენლები უძღვებოდნენ, რომლებმაც საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 25 თანამშრომელს კარტელების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საკუთარი ქვეყნის გამოცდილება და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა გააცნეს.

2017 წელს ჩატარებული ინსტიტუციური გაძლიერების აქტივობები წარმოადგენს ქვაკუთხედს ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების გზაზე. ჩამოთვლილმა ტრენინგებმა, დიდი წვლილი შეიტანეს სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებაში და ხელი შეუწყვეს სააგენტოს დაახლოებას ევროპულ პრაქტიკასთან. ცოდნის გაზიარების გარდა, ტრენინგების შედეგად სააგენტოს თანამშრომლებმა დაამყარეს კონტაქტები კონკურენციის სამართლისა და ეკონომიკის წამყვან პროფესორებთან და პრაქტიკოსებთან. ტრენინგების შედეგად სააგენტოს თანამშრომლებს გადაეცათ საჭირო თეორიული ცოდნა, ხოლო პრაქტიკული შედეგები აისახება როგორც სააგენტოს გადაწყვეტილებებში, ისე გაუმჯობესებულ ადგილობრივ და საერთაშორისო თანამშრომლობაში.

❖

OGP სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership - OGP) საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ვალდებულებას წარმოადგენდა გზამკვლევის შემუშავება, რომელიც ბაზრის მონაწილეებს - ეკონომიკურ აგენტებს წარმოდგენას შეუქმნიდა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში არსებულ მათ ძირითად ვალდებულებებზე. ვალდებულება მოიცავდა როგორც შესაბამისი გზამკვლევის შემუშავებას, ისე მისი ელექტრონული და ბეჭდური სახით გავრცელებას.

სააგენტოში გზამკვლევზე მუშაობა 2016 წლის დეკემბრიდან დაიწყო და მასში გამოყენებულ იქნა ევროკავშირში კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოების - ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა, ვინაიდან ქართული კონკურენციის კანონმდებლობა შემუშავებულია ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის საფუძველზე.

2017 წლის პირველ მაისს, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით მოხდა გზამკვლევის დამტკიცება, სახელწოდებით - „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“. გზამკვლევში ყურადღება გამახვილდა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით დარეგულირებული ქმედებების სამ ძირითად კატეგორიაზე - კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებზე, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და კონცენტრაციებზე.

სააგენტოს მიერ მომზადებული გზამკვლევის ტექსტი ითარგმნა ინგლისურად და გასაანალიზებლად გადაეგზავნა ევროკავშირის პროექტის ფარგლებში საქართველოში მუდმივად მყოფ ექსპერტთა ჯგუფს. თარგმანი ასევე გაიგზავნა საქართველოში ევროკავშირის ოფიციალურ წარმომადგენლობასთან. ექსპერტთა მიერ გზამკვლევის შეფასების დასრულებისა და პოზიტიური კომენტარების მიღების შედეგად, მოხდა გზამკვლევის ოფიციალურად დამტკიცება და სააგენტოს ვებგვერდზე http://competition.ge/images/upload/გზამკვლევი%20დოკუმენტი.pdf განთავსება. სააგენტოში მიმდინარე ევროკავშირის პროექტის „საქართველოში კონკურენციის სააგენტოს

მხარდაჭერა“ ფარგლებში, გზამკვლევი ასევე გამოიცა ბეჭდური სახითაც, რის შემდეგაც დაიწყო მისი აქტიური პოპულარიზაცია სააგენტოს მიერ ორგანიზებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ფარგლებში.

წლის მანძილზე ჩატარდა 6 ღონისძიება, სადაც მოხდა დოკუმენტის პოპულარიზაცია, მისი ძირითადი შინაარსის წარდგენა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისათვის გზამკვლევის ბეჭდური ვერსიის გადაცემა.

8. სააგენტოში მიმდინარე პროექტები

❖

ევროკავშირის დახმარების პროექტი „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

2017 წლის იანვარში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა” დაიწყო. პროექტის ხანგრძლივობა ორი წლის ვადით განისაზღვრება და მას საერთაშორისო კონსორციუმი ახორციელებს, რომელსაც “Business and Strategies Europe” ხელმძღვანელობს, ხოლო ერთ-ერთი წევრი ლიტვის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭოა.

პროექტის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი 2017 წლის 24 მარტს გაიმართა. ღონისძიება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ ნოდარ ხადურმა, სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძემ, საქართველოში ევროკავშირის ელჩის მოადგილემ კარლო ნატალემ, ლიტვის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭოს თავმჯდომარემ შარუნას კესერაუსკასმა, პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელმა აურელიო ლა ტორემ და პროექტის მთავარმა ექსპერტმა ფრანსუა სუტიმ გახსნეს. ღონისძიებას მთავრობის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, ელჩები, დიპლომატები, ბიზნეს, არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტის მიზანია გააძლიეროს სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარება, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ წინსვლას და მომხმარებელთა კეთილდღეობას, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობითა და DCFTA-ის დებულებების შესაბამისად.

პროექტის ძირითად ამოცანას, სააგენტოს თანამშრომლებისათვის პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესების მეშვეობით, კონკურენციის კანონის ეფექტიანი აღსრულების ხელშეწყობა წარმოადგენს. პროექტი სამ ძირითად მიზანს ემსახურება:

- გაზარდოს და გააძლიეროს კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების ეფექტიანობა, რაც უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ კონკურენციის პოლიტიკის სათანადოდ აღსრულებას, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკისა და DCFTA-ის დებულებების შესაბამისად (კომპონენტი 1);
- გააუმჯობესოს თანამშრომლობა კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის (კომპონენტი 2);
- ხელი შეუწყოს ქართულ საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის დამკვიდრებას (კომპონენტი 3).

პროექტს ხელმძღვანელობს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის მიმართულებებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევას და ხელს უწყობს პროექტის იმპლემენტაციას. საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, პროექტის განმახორციელებელ გუნდთან, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციისა და საქართველოს კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად არიან - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები.

ბ) პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

ბ.ა) ღონისძიებები კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფის მიმართულებით

პროექტის ფარგლებში, განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები საქართველოში მოქმედი კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი კიდევ უფრო დაახლოების მიზნით. ასევე, კონკურენციის სახელმძღვანელო პრინციპების, ე.წ. გაიდლაინების და გზამკვლევი დოკუმენტების შემუშავების მიმართულებით, კერძოდ:

- პროექტის საწყის ეტაპზე, განხორციელდა კონკურენციის მიმართულებით ქვეყანაში მოქმედი საკანონდებლო ჩარჩოს ანალიზი;
- შემუშავდა მოქმედი კონკურენციის კანონმდებლობისა და დარგობრივი მარეგულირებელი კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი და ხარვეზების გამოკვეთა;

- შემუშავდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი;
- შემუშავდა რამდენიმე გზამკვლევი კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე;
- სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, შედგა მოწვეული მაღალკვალიფიციური ევროპელი ექსპერტების შეხვედრები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

8.8) ღონისძიებები კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით

- პროექტის ფარგლებში, განხორციელდა 3 სტაჟირება და კონკურენციის სააგენტოს 4 თანამშრომელს საშუალება მიეცა, ადგილზე გასცნობოდა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ევროპის მოწინავე ქვეყნების კონკურენციის ორგანოების მუშაობას. 2 კვირიან სტაჟირებებს უმასპინძლეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD), გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციამ (UNCTAD) და ავსტრიის კონკურენციის უწყებამ;
- შედგა 1 კვირიანი სასწავლო ვიზიტი ევროკომისიის კონკურენციის გენერალურ დირექტორატში (DG Competition), რომელშიც სააგენტოს 7-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. მათ საშუალება ჰქონდათ, დასწრებოდნენ კონკურენციის გენერალური დირექტორატის მიერ ორგანიზებულ ტრენინგთა ციკლს და მიეღოთ დეტალური ინფორმაცია უწყების საქმიანობის კონკრეტული მიმართულებების თაობაზე. ვიზიტის ფარგლებში, შედგა მნიშვნელოვანი შეხვედრები, მათ შორის გენერალური დირექტორატის უმაღლესი თანამდებობის პირთან - იოანეს ლეიტენბერგერთან და დამყარდა აუცილებელი საერთაშორისო კონტაქტები;

- კონკურენციის საკითხებზე მომუშავე მოწვეული ევროპელი ექსპერტების მიერ, სააგენტოს თანამშრომელთათვის ჩატარდა 12 ტრენინგი, კონკურენციის კანონმდებლობის და პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალურ თემატიკაზე. სააგენტოს თანამშრომლებს საშუალება მიეცათ, მიეღოთ საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ყველა ინფორმაცია და პასუხები მათთვის საინტერესო ნებისმიერ შეკითხვაზე. სააგენტოს თანამშრომლებმა, ასევე, გაიარეს პროგრამა „სტატა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის

საერთაშორისო სკოლა აისეტში (ISET), რომლის მეშვეობითაც, პროგრამული უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებს და საშუალებებს გაეცნენ;

- პროექტის ფარგლებში, განხორციელდა 4 მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვიზიტი; სააგენტოს თავმჯდომარესა და წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, დასწრებოდნენ კონკურენციის საერთაშორისო ქსელის (ICN) წლიურ კონფერენციას პორტოში, OECD-ის მიერ ორგანიზებულ კონკურენციის გლობალურ ფორუმს პარიზში, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის წლიურ შეხვედრას ვაშინგტონში და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ორგანოს (UNCTAD) კონკურენციის პოლიტიკის შესახებ მთავრობათაშორისი ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრას ჟენევაში.

8.3) ღონისძიებები კონკურენციის სააგენტოს ცნობადობის გაზრდისა და საზოგადოებაში კონკურენციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით

2017 წლის მანძილზე, ევროკავშირის დახმარების პროექტის ფარგლებში, გაიმართა 8 ღონისძიება, რომელთა მიზანს კონკურენციის სააგენტოს ცნობადობის გაზრდა და საზოგადოებაში კონკურენციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა. სემინარებისა და პრეზენტაციების სამიზნე აუდიტორიას სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, ბიზნეს სექტორის, საკონსულტაციო კომპანიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეადგენდნენ. 5 დეკემბერს საქართველო პირველად შეუერთდა კონკურენციის მსოფლიო დღის აღნიშვნას და ამ დღისადმი მიძღვნილი ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება გამართა. შედგა სემინარები სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციის დაცვის მნიშვნელობის შესახებ და ასევე, ერთობლივი ღონისძიება, ევროპის ბიზნეს ასოციაციის მონაწილეობით.

❖

EBRD-ის მიერ დაფინანსებული პროგრამა „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა და ადვოკატირება“

European Bank for Reconstruction and Development

IOS Partners

საქართველოს კონკურენციის სააგენტო, 2016 წლიდან აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან.

2017 წელს, EBRD-ის დაფინანსებით, განხორციელდა პროექტი - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა და ადვოკატირება“. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ორგანიზება ამერიკულმა კომპანიამ „IOS Parnters, Inc“ გაუწია.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა 3 ღონისძიება:

1) **გასვლითი 2 დღიანი სემინარი ჟურნალისტებისათვის** - 2017 წლის 29-30 ივნისს გაიმართა. ღონისძიება კახეთში, კაჭრეთში ჩატარდა და მას ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ძირითადი ტელევიზიებისა და ინტერნეტ-გამოცემების ეკონომიკური პროფილით მომუშავე 30-მდე ჟურნალისტი დაესწრო. ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია და პასუხები მედიისათვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე, გაცნობოდნენ კონკურენციის სამართლის პრინციპებს, სააგენტოს თანამშრომლებთან და მოწვეულ ექსპერტებთან ერთად. ღონისძიების მიზანს მასმედიის წარმომადგენლებისათვის კონკურენციის თემატიკის გაცნობა, ცნობიერების ამაღლება და კონტაქტების დამყარება წარმოადგენდა.

2) **სემინარი თანამშრომლობის პროგრამის (Leniency) თემატიკაზე** - 2017 წლის 22 სექტემბერს ჩატარდა, რომელსაც საქართველოში მოქმედი ბიზნეს კომპანიების 40 წარმომადგენელი დაესწრო. მათ საშუალება ჰქონდათ, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი (ფრანგი და ჩეხი) ექსპერტებისგან მიეღოთ ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამის სიკეთეების შესახებ და გაცნობოდნენ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, სხვადასხვა ქვეყნებში თანამშრომლობის პროგრამის ფუნქციონირების თაობაზე.

3) **პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია კონკურენციის სფეროში** - კონფერენცია სახელწოდებით „კონკურენციის პოლიტიკა - თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“ 2017 წლის 17-18 ნოემბერს გაიმართა და საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული რეალიზაციის 25 წლის იუბილეს მიეძღვნა.

კონფერენციის ფარგლებში, 17 ნოემბერს, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, ნოდარ ხადურმა, 6 ქვეყნის - ბელარუსის, ესტონეთის, ლატვიის, მოლდოვას, ჩეხეთისა და რუმინეთის კონკურენციის უწყებების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი.

ღონისძიებას 20-ზე მეტი მეგობარი ქვეყნის წარმომადგენელი (ავსტრია, ბელარუსი, თურქეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, მოლდოვა, ჩეხეთი, რუმინეთი, უკრაინა და ა.შ.) და ორასამდე მონაწილე ესწრებოდა, მათ შორის: ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციის უწყებების, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, უზენაესი სასამართლოს, აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მაღალი რანგის პირები.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, ნოდარ ხადური; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი შარვაშიძე; საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, დიმიტრი ქუმსიშვილი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, მიხეილ ჩხენკელი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ნინო გვენეტაძე; ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, ოპერაციული ხელმძღვანელი, ლორენცო ჩიარი; ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“, B&S Europe-ს დირექტორი, რაფაელ კომენჟი.

პლენარული სესიისა და 4 სამუშაო სექციის ფორმატში, მოხდა კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საკითხებზე ნაშრომების წარმოდგენა და ანალიზი. ყურადღება გამახვილდა საქართველოში კონკურენციის კუთხით არსებულ ძირითად გამოწვევებზე, მათ შორის საკანონმდებლო ხარვეზების ნაწილზე, აღნიშნული ხარვეზების დაძლევის გზებსა და მომავალ საკანონმდებლო ინიციატივებზე.

კონფერენციის მეორე დღეს გაიმართა გასვლითი ღონისძიება კახეთში, სადაც ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორმა, ამერიკის ფედერალური ვაჭრობის კომისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა - ვილიამ კოვაჩიჩმა გააკეთა მოხსენება ჯანსაღი კონკურენციის მნიშვნელობისა და კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის წარმართვის საკითხებზე.

კონფერენციის ორგანიზატორები, საქართველოს კონკურენციის სააგენტოსთან ერთად, იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს კონკურენციის ინსტიტუტი.

9. თანამშრომლობის მემორანდუმები და პრაქტიკული თანაშრომლობის საკითხები

2017 წლის მანძილზე, კონკურენციის სააგენტომ განახორციელა აქტიური მუშაობა თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოების მიმართულებით. წლის განმავლობაში გაფორმდა 13 მემორანდუმი, როგორც მეგობარი ქვეყნების კონკურენციის უწყებებთან, ისე, საქართველოში მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სექტორულ მარეგულირებლებთან. მემორანდუმების ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა და კონსულტაციები მხარეთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

მეგობარი ქვეყნების კონკურენციის უწყებებთან გაფორმებული მემორანდუმები

- 2017 წლის 9 ნოემბერს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის სახელმწიფო კომისიას შორის. სომხეთში ვიზიტისას, ასევე გაიმართა შეხვედრა ნოდარ ხადურსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრს - კარენ კარაპეტიანს შორის. მხარეებმა კონკურენციის კუთხით თანამშრომლობისა და მომავალში საერთო კვლევების წარმოების მნიშვნელობა განიხილეს. მემორანდუმის ფარგლებში, ხორციელდება მხარეთა შორის აქტიური მიმოწერა და ინფორმაციის გაცვლა, სხვადასხვა საქონლის/მომსახურების ბაზრების შესახებ.

- 2017 წლის 17 ნოემბერს, თბილისში ჩატარებული პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 6 ქვეყნის კონკურენციის უწყებასთან:

- ✓ ბელარუსიის რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და ვაჭრობის სამინისტრო;
- ✓ ესტონეთის რესპუბლიკის კონკურენციის უწყება;
- ✓ ლატვიის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭო;
- ✓ მოლდოვის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭო;
- ✓ რუმინეთის კონკურენციის საბჭო;
- ✓ ჩეხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის ოფისი;

მემორანდუმების მიზანია, ხელი შეუწყოს მხარეებს შორის კონკურენციის სამართლის აღსრულებისა და კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების სფეროში თანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების მეშვეობით. მემორანდუმების ფარგლებში, შესაძლებელია განხორციელდეს - თანამშრომელთათვის სასწავლო ვიზიტებისა და ექსპერტების ტრენინგების ორგანიზება, კანონმდებლობის აღსრულებისა და წარმოებული საქმეების შესახებ არაკონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლა, კონსულტაციები ორმხრივი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ კონკრეტულ საკითხებზე და ა.შ.

სექტორულ მარეგულირებლებთან/უწყებებთან გაფორმებული მემორანდუმები

- 2017 წლის 8 თებერვალს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შორის;

- 2017 წლის 13 აპრილს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს შორის;

- 2017 წლის 7 ნოემბერს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიას შორის.

მემორანდუმების მიზანია, თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობა მხარეების კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში, რაც გამოიხატება ორმხრივი კომუნიკაციის ჩამოყალიბებაში, ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებაში, საექსპერტო კონსულტაციების გაწევაში და სხვა. წლის მანძილზე, მხარეებს შორის აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა, კონსულტაციების გაწევა და ინფორმაციის გაცვლა, მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები

- 2017 წლის 7 თებერვალს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის;

- 2017 წლის 14 თებერვალს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს შორის;
- 2017 წლის 23 მარტს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის.

მემორანდუმების მიზანს მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება, სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კვალიფიციური კადრების მომზადება, სხვადასხვა სამეცნიერო ან/და შემეცნებითი პროექტების ერთობლივად განხორციელება წარმოადგენს.

10. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კომუნიკაცია და სააგენტოს ცნობადობის გაზრდა

2017 წელი საქართველოში კონკურენციის სააგენტოს ცნობადობის გაზრდის და მრავალმხრივი კონტაქტების დამყარების კუთხით სააგენტოს საქმიანობის ისტორიაში გარდამტეხი პერიოდი იყო. პროფესიონალ გუნდთან ერთად, ნოდარ ხადურის მიერ ინიცირებული პროექტები, კონფერენციები, შეხვედრები, გადაწყვეტილებები სააგენტოს ირგვლივ საზოგადოებრივი ინტერესის ფორმირებისა და მისი ცნობადობის გაზრდისკენ იყო მიმართული. სააგენტოს თავმჯდომარის მიმართ გამოვლენილი საზოგადოების მაღალი ინტერესი და ნდობა სააგენტოს ცნობადობის ზრდის სწრაფ ტემპზე მკვეთრად აისახა. აღნიშნულს განხორციელებული საქმეები და მისი შედეგები, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სააგენტოს შესახებ გავრცელებული პუბლიკაციებიც მოწმობს.

საინფორმაციო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე და ზოგად სტატისტიკაზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2017 წელი წინა წლებთან შედარებით რადიკალურად განსხვავდება და საზოგადოებრივი ინტერესის გაცილებით გაზრდილ მაჩვენებელს ადასტურებს.

2017 წელს საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაცია

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
47	41	25	14	12	14	37	17	12	19	41	109	413

2017 წელს გავრცელებული ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - competition.ge

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
14	9	12	5	9	9	10	9	7	17	20	13	134

2017 წელს გავრცელებული ინფორმაცია facebook-ზე -
www.facebook.com/CompetitionAgencyGeo

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
17	21	19	5	8	15	12	7	6	16	34	21	181

სააგენტო ყოველდღიურ რეჟიმში თანამშრომლობს რიგით მკითხველთან, დაინტერესებულ პირთან, მედიის წარმომადგენლებთან. მუდმივად ხდება ინფორმაციის გაცვლა, საკითხის შესწავლა. 2017 წელს facebook-ზე მომხმარებელთა აქტივობა:





ტექნიკურად, ვიზუალურად და შინაარსობრივად მიმდინარეობს ვებ-საიტის გამართვა, რომელიც 2018 წელს მომხმარებელს სრულყოფილად მოემსახურება და კონკურენციის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოების დროულ ინფორმირებას უზრუნველყოფს. საზოგადოების ნდობა, ინტერესი, კრიტიკა და მხარდაჭერა სააგენტოსათვის ყოველთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.

11. სააგენტოს მიერ გამოცემული გზამკვლევი დოკუმენტები

❖ თანამშრომლობის პროგრამა

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 13 მარტის N 04/66 ბრძანებით დამტკიცდა საინფორმაციო დოკუმენტი - „თანამშრომლობის პროგრამა“. დოკუმენტის მიზანია ეკონომიკური აგენტებისათვის იმ ძირითადი პრინციპებისა და წესების განმარტება, რომელთა გამოყენების შემთხვევაში, სამართალდარღვევის მიუხედავად, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისგან.

თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც, ევროკავშირის კანონმდებლობაში, Leniency-ს სახელით არის ცნობილი, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების გამოვლენისა და აღკვეთისათვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

ევროკავშირის კონკურენციის სამართლის წესების მსგავსად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33[1] მუხლიც ითვალისწინებს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან ეკონომიკური აგენტებისათვის სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესაძლებლობას, თუ დაკმაყოფილებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები.

გზამკვლევი თავს უყრის, როგორც სხვადასხვა ნორმატიული ნორმატიული აქტების დებულებებს, ასევე, საერთაშორისო პრაქტიკას და აღწერს თანამშრომლობის პროგრამის განხორციელების პროცესუალურ ნორმებს. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე:

- თანამშრომლობის პროგრამის მიზანი და შინაარსი (მოსარგებლე პირები, შეღავათების კლასიფიკაცია);
- თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის პირობები;
- თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული განაცხადის წარდგენა (განაცხადის ფორა, განაცხადის წარდგენის პროცედურა);
- საერთაშორისო პრაქტიკა.

❖ ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის პირველი მაისის N 04/99 ბრძანებით დამტკიცდა გზამკვლევი დოკუმენტი - „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“. დოკუმენტი მიზნად ისახავს, მარტივად აღქმადი ფორმით, ეკონომიკური აგენტებისათვის ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც სააგენტოს მიერ კონკურენციის საწინააღმდეგოდ შეიძლება იქნას მიჩნეული კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

გზამკვლევი დოკუმენტი სააგენტომ კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და „ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველოს“ (OGP) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით შეიმუშავა.

დოკუმენტში მიმოხილულია ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებადი კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების შემდეგი სამი ძირითადი კატეგორია:

- კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები;
- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
- კონკურენციის საწინააღმდეგო კონცენტრაციები.

გზამკვლევში განხილულია კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებათა კატეგორიები, შესაძლო ჩამდენი სუბიექტები, ქმედების კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მნიშვნელოვან ტერმინთა განმარტებები, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული სახეები, კონცენტრაციის სახეები, მისი განხორციელების ხერხები და ა.შ.

თითოეული საკითხის განხილვისას, მოცემულია როგორც კონკურენციის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დებულებები, ასევე ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკა - ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა.

12. სამომავლო გეგმები

2018 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ განსახორციელებელი აქტივობები მიმართული იქნება ბაზრის ლიბერალიზაციისა და კონკურენციის ხელშეწყობის, საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლების, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისა და ორგანიზაციული სრულყოფისაკენ.

2018 წელს აქტიურად გაგრძელდება მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე. კერძოდ, სააგენტოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია სრულყოფილი აღსრულების მექანიზმების მქონე საკანონმდებლო ბაზის არსებობა. შესაბამისად, ევროკავშირის დახმარების პროექტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2018 წელს სააგენტო დაასრულებს მუშაობას და საქართველოს მთავრობას წარუდგენს იმ ძირეულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, რომელიც კონკურენციის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან უფრო მეტად დაახლოვებასა და სააგენტოს მუშაობის ეფექტიანობის ზრდას შეუწყობს ხელს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის განმავლობაში ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა. ამ მიმართულებით,

ჩატარდა არაერთი სემინარი და კონფერენცია - ბიზნეს სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობით. შესაბამისად, განგრძობადი განათლების ხელშესაწყობად, სააგენტო 2018 წლის განმავლობაშიც გეგმავს მიაწოდოს საზოგადოებას ძირეული ინფორმაცია კონკურენციის სამართლის შესახებ, - რაც კანონდარღვევების პრევენციისა და სამართლებრივი შეგნების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობისკენ მიმართულ აუცილებელ აქტივობას წარმოადგენს.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ასევე, აქტიურად გაგრძელდება მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების შემუშავება, სადაც ასახული იქნება არამარტო საქართველოს კონკურენციის სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, არამედ, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაც, კონკურენციის საკითხებზე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ა.შ.

2018 წლის განმავლობაში, ასევე ვგეგმავთ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მეგობარი ქვეყნების კონკურენციის უწყებებთან თანამშრომლობის პროცესების გაფართოვებას - მემორანდუმების გაფორმებისა და ინფორმაციის/გამოცდილების აქტიური მიმოცვლის გზით.

ჩვენს ძალებს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ 2018 წლის მანძილზე მივაღწიოთ უმთავრეს მიზნებს - საზოგადოებისა და ბიზნესის თვალში ნდობის ამაღლებას, მაქსიმალურ საჯაროობას, ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის უზრუნველყოფას, რამაც, საბოლოო ჯამში, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს სრულყოფასა და ბაზრის სუბიექტის წინსვლას უნდა შეუწყოს ხელი.